

| | |
|--|--|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ბათუმი ნინოშვილის ქ., №35, ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.g |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფილოსოფია/Philosophy |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში/ Bachelor of Arts in Philosophy |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებში | ECTS: 240 კრედიტი სწავლების ხანგრძლივობა: 8 სემესტრი პროგრამის სტრუქტურა/ECTS მოცულობა: <ul style="list-style-type: none"> ძირითადი პროგრამა (major)- 180 ECTS კრედიტი, აქედან: სავალდებულო საფაკულტეტო/საუნივერსიტეტო კურსები - 40 ECTS კრედიტი ძირითადი სპეციალობის პროგრამა (major)- - 140 ECTS კრედიტი დამატებითი სპეციალობა (minor)/თავისუფალი კომპონენტები - 60 ECTS კრედიტი |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | <ul style="list-style-type: none"> პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. ბსუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111-ე დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. <p>მობილობის წესით (შიდა/გარე) ჩარიცხვა.</p> |
| საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა | <p>პროგრამის აქტუალობა:</p> <ol style="list-style-type: none"> ფილოსოფია - ჰუმანიტარული განათლების ბირთვი. ის მოიცავს აზროვნების კანონების და ინტერდისციპლინური ცოდნის საფუძველმდებარე პრინციპებს. ფილოსოფიას აინტერესებს სამყაროს ბუნება და ადამიანის არსი, ცოდნის ბუნება და ყოფიერების საზრისი, ადამიანური მორალი და რწმენა, თავისუფლება, სამართლიანობა და ისტორია; ის კრიტიკულად იკვლევს ადამიანური გამოცდილების მარადიულ პრობლემებს. ასე, რომ ფილოსოფია მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვისაც სურს იცხოვროს და იმოქმედოს რეფლექსურად და კრიტიკულად. ფილოსოფია უნივერსალური მეცნიერებაა. მას აინტერესებს საკითხი სამყაროს არსის, მისი წარმოშობის, შინაგანი კანონზომიერებისა და ამ სამყაროში ადამიანის როლისა და დანიშნულების შესახებ. ამ პრობლემებს განსხვავებული პერსპექტივებიდან გამომდინარე შეისწავლის მეცნიერების სხვადასხვა დარგი, კერძო მეცნიერებების სახელით რომ არის ცნობილი. ფილოსოფია კერძო მეცნიერებებისაგან განსხვავებით შეისწავლის სამყაროს მის მთლიანობაში, ადამიანის არსებას ზოგადად და არა მხოლოდ მის ერთ რომელიმე მხარეს. ამიტომაც არის საჭირო ფილოსოფიური შემეცნება, რათა მისი მეშვეობით მოხდეს |

კერძო მეცნიერებათა მიერ დაგროვილი ცოდნის სისტემატიზება და განზოგადება.

3. **ფილოსოფია - მეცნიერებათა მეთოდოლოგია.** ის აფართოებს ადამიანის მსოფლმხედველობას. თანამედროვე ფილოსოფიას რთული მისია აკისრია; მან უაღრესად რთული, კომპლექსური და სწრაფად ცვალებადი სამყაროს ადეკვატური სურათი უნდა ასახოს. კერძო მეცნიერებები მათი მიღწევების მიუხედავად, ვერ გვაწვდიან პასუხს ცხოვრებისეულ, მსოფლმხედველობრივ, საზრისისეულ მარადიულ კითხვებზე. ამდენად, უმნიშვნელოვანესი ხდება ახალი მსოფლმხედველობრივი სისტემების ძიება, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის გადარჩენის სტრატეგიათა ძიებას. ასე რომ, ფილოსოფია ამ ამოცანების წარმატებით დაძლევის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუკი იმ როლსა და ფუნქციას დაიბრუნებს, რასაც საუკუნეების განმავლობაში ასრულებდა;
4. **ფილოსოფია თავისი არსით ინტერდისციპლინურია.** უნივერსიტეტების არსებობის ისტორიამ ნათლად აჩვენა, რომ ადამიანის განვითარების ყველა ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსალური ცოდნისკენ სწრაფვას, რაც გამოიხატება სხვადასხვა დისციპლინათა შორის თანამშრომლობის შედეგად მიღებული ცოდნის სტატუსში. თანამედროვე სამეცნიერო სისტემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ინტერდისციპლინარული ცოდნის მოთხოვნა. ფილოსოფია, თავისი არსისა და დანიშნულების მიხედვით, ამ ტიპის ცოდნის უზრუნველმყოფია. ფილოსოფია გვთავაზობს ყველა მეცნიერებათა შესავალ მეთოდოლოგიას, ის არის ერთგვარი პროპედევტიკა მეცნიერებისა.
5. **ფილოსოფია სასარგებლოა.** ის წვრთნის აზროვნების იმ უნარ-ჩვევებს, რომელთაც აქვთ მიმართება მომავალი პროფესიების ფართო სპექტრთან. ის სტრუქტურული წერისა და საუბრის, არგუმენტირების ხელოვნებას (არგუმენტების შექმნისა და შეფასების, სტრუქტურირების და სწორად გამოყენების) ასწავლის ადამიანებს, რაც ერთობ მნიშვნელოვანია წარმატებული პროფესიული კარიერის მიღწევის გზაზე. ანალიზისა და კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარება ფილოსოფიის შესწავლის შედეგია. ის, ვინც გაურბის კრიტიკას, იმთავითვე უარს ამბობს ცოდნისა და ჭეშმარიტების იდეალებზე. ფილოსოფია ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც თვითკრიტიკის მაღალ ხარისხსაც გულისხმობს.
6. **ფილოსოფია ადამიანს ასწავლის განსხვავებული სააზროვნო ტრადიციების პატივისცემას,** მათ აღიარებას, დაფასებას და შეწყნარებას. საუნივერსიტეტო სივრცეში ყოველივე ეს განსხვავებული ფილოსოფიური კონცეფციების, მიმდინარეობების და ტრადიციების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად მიიღწევა.

აქედან გამომდინარე, ფილოსოფიური ცოდნის შეძენა თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების საფუძველთა საფუძველია და მის ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს კიდევაც და საუნივერსიტეტო სპეციალობებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მთელს მსოფლიოში.

| | |
|--|--|
| | <p>7. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი ფილოსოფიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს, ფილოსოფიის ზემოთ წარმოდგენილი მოდელის დანერგვას სასწავლო პროცესში - როგორც დარგობრივი, ასევე დარგთაშორისი ცოდნის სფეროში.</p> <p>მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დარგის ფილოსოფიების (ისტორიის, კულტურის, ენის, პოლიტიკური, ეკონომიკის და ბიზნესის, სამართლის, განათლების ფილოსოფიის და სხვ.) და ფილოსოფიის უახლესი დარგების სწავლება. ბოლო პერიოდში დაინერგა კიდევაც ახალი ინტერდისციპლინური სალექციო კურსები (მაგალითად, ეკონომიკის ფილოსოფია, ფილოსოფიური გეოგრაფია, ბიზნესის ეთიკა, სამედიცინო ეთიკა, ეკოეთიკა, მედიის ფილოსოფია და სხვ.</p> |
| <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p> | <p>I – მისცეს ზოგადი და ფართო ცოდნა ფილოსოფიური ცოდნის სისტემისა და სტრუქტურის შესახებ; კერძოდ, ცოდნა ფილოსოფიის კონცეპტუალური აპარატის, ცნებებისა და კატეგორიების, მეთოდების, თეორიების, ფილოსოფიის ძირითადი დარგების, მიმართულებების, მიდგომებისა და მათი გენეზისის შესახებ; ასევე, ფილოსოფიური პლატფორმების მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ.</p> <p>II - გააცნოს ფილოსოფიის მდიდარი ტრადიცია, ფილოსოფიის ისტორიული ცოდნა, როგორც ფილოსოფიური აზროვნების წინაპირობა, ადამიანური ყოფიერების შესახებ ფუნდამენტური კონცეფციების წარმოშობა და განვითარება ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეტაპების, ძირითადი სკოლებისა და მიმართულებების, ფილოსოფიის საფუძველმდებარე შრომების შესწავლა-ანალიზით;</p> <p>III - განუვითაროს შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის ინტერესებიდან გამომდინარე დარგისათვის მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი კომპეტენციები: აუცილებელი <i>აკადემიური უნარ-ჩვევები</i>: ზეპირი და წერილობითი <i>კომუნიკაციის, არგუმენტაციისა და ანალიზის/ანალიტიკური, კრიტიკული ანალიზის უნარი, კვლევითი.</i> პრაქტიკული უნარ-ჩვევები - საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული პლატფორმების გამოყენების, <i>ლოგიკური და თავისუფალი აზროვნების, დიალოგის კულტურის, საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად, არგუმენტირებულად ჩამოყალიბების, საპირისპირო პოზიციების სწორად გაგების, დემონსტრირების, დისკუსიებსა და დებატებში ჩართულობის, გადაწყვეტილების მიღების და პრობლემათა გადაჭრის უნარი.</i></p> <p>IV - ჩამოაყალიბოს უნივერსიტეტის სტარტეგიული გეგმისა და მისიიდან გამომდინარე, ლიბერალური პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი და ერთგული თავისუფალი პიროვნება აქტიური მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, მომავალი კარიერისთვის, შრომის ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური სპეციალისტის მახასიათებლებით, რომელიც შეძლებს თავისი ადგილის დამკვიდრებას საგანმანათლებლო სივრცეში და/ან დასაქმებას საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა სფეროში, რომელიც თავის საქმიანობის წარმართავს ეთიკური პრინციპების დაცვით.</p> <p>V - მოამზადოს სტუდენტი მის მიერ არჩეული სფეროს/დარგის სიღრმისეული შესწავლისათვის; აგრეთვე სწავლის გაგრძელების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების</p> |

| | |
|-------------------------------------|---|
| | <p>ან ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით შემდეგ საფეხურზე; მათი მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის პრაქტიკული და გამოყენებითი ფილოსოფიის საკვანძო პრობლემების გაცნობით.</p> |
| <p>სწავლის შედეგები</p> | <p>ფილოსოფიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული:</p> <p>ავლენს ზოგად და ფართო ცოდნას ფილოსოფიის ძირითადი კონცეპტუალური აპარატის, ცნებებისა და კატეგორიების, მეთოდების, თეორიების, ფილოსოფიის კლასიკური და თანამედროვე დარგების, ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეტაპების, ძირითადი სკოლებისა და მიმართულებების შესახებ.</p> <p>იაზრებს/კრიტიკულად იზრებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფილოსოფიური სკოლების და თეორიების მიღწევებს, სამყაროსა და ადამიანური ყოფიერების შესახებ არსებული ფუნდამენტური კონცეფციების ძირითად პრინციპებს; ➤ ფილოსოფიური ტექსტების ინტერპრეტაციის, ფილოსოფიური თეორიების, ცნებებისა და კონცეპტების მნიშვნელობას კლასიკური და თანამედროვე ფილოსოფიის კონტექსტში; <p>ფილოსოფიური განათლების/ცოდნის მნიშვნელობას, ფილოსოფიის ადგილს მეცნიერების თანამედროვე სტრუქტურაში; ფილოსოფიის როლსა და მნიშვნელობას ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური განათლების კონტექსტში.</p> |
| <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> | |
| <p>უნარები</p> | <p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფილოსოფიის ტერმინოლოგიური/კონცეპტუალური აპარატისა და მეთოდოლოგიური არსენალის ადეკვატურ გამოყენებას ფილოსოფიური ტექსტების ანალიზის პროცესში. ასევე, გლობალური, კონკრეტულ-ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული და სხვ. პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის დროს. ➤ კრიტიკული აზროვნების დემონსტრირებას - ვარაუდებისა და არგუმენტების კრიტიკულ ანალიზს. ➤ სხვადასხვა დისციპლინიდან მიღებული იდეებისა და ათვისებული ცოდნის შედარებასა და ურთიერთშეპირისპირებას. ➤ ალტერნატიული შეხედულებების ჩამოყალიბებას; საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებულად განვითარებას და დაცვას. <p>იყენებს:</p> <p>საბიბლიოთეკო რესურსებს, ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებსა და პლატფორმებს, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს დარგის სამეცნიერო სიახლეების გაცნობისთვის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, სამეცნიერო თემის/საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის.</p> <p>ახორციელებს:</p> <p>ზეპირ და წერით კომუნიკაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე (დონის შესაბამისად);</p> |

| | |
|--|---|
| | <p>რეფერატის, არგუმენტირებული ესსეს, მცირე კვლევითი, პრაქტიკული ხასიათის პროექტის და საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას აკადემიური სტანდარტების დაცვით და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.</p> <p>ახდენს დემონსტრირებას:</p> <p>ნაშრომის ზეპირი პრეზენტაციის, არგუმენტაციის, კრიტიკული ანალიზის, თავისუფალი და კრეატიული აზროვნების უნარს; აგრეთვე, დიალოგის კულტურის, დისკუსიებსა და დებატებში ჩართულობის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემათა გადაჭრის უნარ-ჩვევებს.</p> |
| <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> | <p>წარმართავს საკუთარ პროფესიულ საქმიანობას დარგობრივი ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვით, მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძნობით ზნეობრივი ქცევის ნორმებისადმი, პატივს სცემს ჰუმანიზმს და დემოკრატიულ ღირებულებებს;</p> <p>დამოუკიდებლად ადგენს სწავლის გაგრძელების საჭიროებას მის მიერ არჩეული დარგის/სფეროს სიღრმისეული შესწავლისათვის სწავლების შემდეგი საფეხურის კრიტერიუმებისა და მახასიათებლების შესახებ სანდო და საჭირო ინფორმაციის ფლობით, უწყვეტი პროფესიული განვითარების ან ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით შემდეგ საფეხურზე.</p> |
| <p>შეფასების სისტემა</p> | <p>ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლოა მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ზეპირი გამოცდა; ➤ წერიტი გამოცდა; ➤ ზეპირი გამოკითხვა; ➤ წერიტი გამოკითხვა; ➤ თეორიული სამუშაო; ➤ პრაქტიკული სამუშაო; ➤ პრეზენტაცია; ➤ პროექტის მომზადება; ➤ ესსე; ➤ რეფერატი; ➤ მოხსენება; ➤ ჯგუფური პროექტის შესრულება; ➤ დისკუსია-დებატებში მონაწილეობა; ➤ სხვა. <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ - ს შესაბამისად.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო დისციპლინაში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით (მიმდინარე აქტიურობის შეფასება –</p> |

| | |
|---------------------------------|--|
| | <p>40 ქულა, შუალედური გამოცდა - 20 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა). სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:</p> <p>ა) მიმდინარე (დამოუკიდებელი) მუშაობის შეფასებას;</p> <p>ბ) შუალედურ შეფასებას;</p> <p>გ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p> <p>ყოველ კონკრეტულ სასწავლო კურსში, მიმდინარე აქტიურობის ყველა კომპონენტში, სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ქულათა გარკვეული მაქსიმუმი. ქულათა მაქსიმუმი მითითებულია შესაბამის სილაბუსში და განისაზღვრება პროფესორის მიერ ინდივიდუალურად.</p> <p>დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:</p> <p>შუალედური (მიმდინარე) შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა.</p> <p>სტუდენტის საბოლოო შეფასება:</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა ერთხელ კიდევ გავიდეს დამატებით გამოცდაზე. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლები ქულის მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან.</p> |
| <p>საკონტაქტო პირები</p> | <p>პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>ლალი ზაქარაძე, პროფესორი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 577 511115 ელ.ფოსტა: lali.zakaradze@bsu.edu.ge</p> <p>ვარდო ბერიძე, ასოცირებული პროფესორი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 577 145426 ელ. ფოსტა: vardo.beridze@bsu.edu.ge</p> |

| | |
|--|--|
| | |
|--|--|